

# საქართველოს პრემიერი სინამდვილეში კახა ბენდუქიძეა

გაზეთი “ახალი თაობა” – 5 დეკემბერი, № 336, 2008

ინტერვიუ ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, დადგა თუ არა ქვეყნის სახელმწიფოებრიობა კითხვის ნიშნის ქვეშ აგვისტოს ომის შემდგომ? პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქვეყანა არ ჩამოიშალა და საქართველო, როგორც სახელმწიფო, შედგა.

– საქართველო, როგორც სახელმწიფო, მართლაც ჩამოყალიბდა. სხვა თუ არაფერი, მსოფლიოს მასშტაბით ქართულ სახელმწიფოს და მის ხელმძღვანელობას დიდი მხარდაჭერა აქვს. ასე რომ, სახელმწიფო ვართ, მაგრამ ჩემთვის მთავარია, როგორი სახელმწიფო ვართ. იმიტომ, რომ დიქტატორული სახელმწიფოც, ავტორიტარული სახელმწიფოც სახელმწიფოა, და დემოკრატიული სახელმწიფოც – ყველა სახელმწიფოა. შეცდომაა ვთქვათ, რომ სახელმწიფოს შექმნა დაიწყო “ვარდების რევოლუციის” შემდგომ. ქართული სახელმწიფოს აღდგენა დაიწყო მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ქვეყანას აქვს გარკვეული სახელმწიფო ინსტიტუტები, რომელიც ყოველთვის ერთნაირად ძლიერი და გამართული არ იყო და არც დღეს არ არის. ქვეყნის სახელმწიფოებრიობაში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ, მაგრამ დღევანდელი საქართველო ნამდვილად ვერ ჩაითვლება დემოკრატიულ სახელმწიფოდ. დვთის მადლით, არც დიქტატურა არ გვაქვს. ჩვენში ჩამოყალიბდა ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც ლამაზადაა “შეფუთული”, რათა შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს ჩვენთან დემოკრატიაა. მოვიყვან ერთ მაგალითს: თუ როგორია დამოუკიდებულება ხელისუფლებისა საპარლამენტო ოპოზიციასთან, რომელიც სინამდვილეში სულაც არ არის ოპოზიცია. მაგრამ იცის ლამაზი თამაში იმისა, რომ ეს ვითომ მართლაც ოპოზიციაა. რასაც იხილავენ და წყვეტენ, ზუსტად ასევე იქნებოდა

განხილული და გადაწყვეტილი, ამ ე.წ. საპარალელმენტო ოპოზიციის არარსებობის შემთხვევაშიც. ისინი რომ არ შესულიყვნენ პარლამენტში, მაშინ უმრავლესობაში გამოყოფდნენ ფრაქციას, რომელსაც ოპოზიციას დაარქმევდნენ და მაინც იგივე თამაში წავიდოდა. არის დღევანდელი პარალმენტი დემოკრატიული? რა თქმა უნდა, არა. რაც შეეხება სიტყვის თავისუფლებას, გაზეთები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ თავისუფლებას, ტელეეთერი კი ამ მხრივ ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ეს დამახასიათებელია ავტორიტარული რეჟიმისთვის. რაც შეეხება დემოკრატიის ერთ-ერთ მთავარ უფლებას – ადამიანმა დაიცვას თავისი უფლებები, ამისთვის უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი სასამართლო, რაც ჩვენთან არ არის. აქ არ არის საუბარი იმაზე, კარგი კანონები გვაქვს თუ არა, საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლებას არ გააჩნია იმის პოლიტიკური ნება, რომ დაიცვას ის კანონები, რაც გვაქვს და არ ჩაერიოს სასამართლო ხელისუფლებაში. დემოკრატია გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის იმ დონეს, როდესაც სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ეს კანონითაა ნებადართული. ჩვენთან კი რა ხდება: კანონი ცალკე წერია, კონსტიტუცია ცალკე გვაქვს და თუ მთავრობას გაუხარდება, ჩაერევა და რასაც უნდა იმას გააკეთებს. მაგრამ ესეც ლამაზად არის “შეფუთული”. გამარტივებულია ბიზნესის დაწყება, რაც თავისი შინაარსით “შესაფუთი” მასალაა. მაგრამ, თუ ბიზნესი მეტ-ნაკლებად წარმატებული აღმოგაჩნდა, მერე სახელმწიფოს მხრიდან ხარ დატერორებული. ეს არის კლასიკური ავტორიტარული რეჟიმი. ამავდროულად ე.წ. სპეციალისტებში, რომლებიც დემოკრატიას სწავლობენ, გაჩნდა ასეთი ტერმინები: მართვადი დემოკრატია, სუვერენული დემოკრატია. ეს, როგორც წესი, გამოიყენება რუსეთთან მიმართებაში. ჩვენთან დასავლელმა ექსპერტებმა მოიფიქრეს ასეთი ტერმინი – აღმოცენებადი, ჩამოყალიბებადი დემოკრატია. ესეც ნიღაბია იმისათვის, რომ ვერავინ გაარჩიოს რეჟიმის ნამდვილი ავტორიტარული ბუნება. ერთ-ერთი ცნობილი, საქართველოს დიდი გულშემატკივარი, ამერიკელი მკვლევარი ასეთ საინტერესო დასკვნამდეც კი მივიდა: იმის მიუხედავად, რომ საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში მოხდა ფერადი რევოლუციები, ისინი ისევე რჩებიან

ავტორიტარულ სახელმწიფოებად, როგორც არაერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, სადაც ასეთი რეკოლუცია არ მომხდარა.

– ბევრი პოლიტიკოსი მიიჩვევს, რომ აგვისტოს ომმა მთლიანად ჩამოიშალა სახელმწიფოებრიობა და ქვეყნის არსებობს საფრთხის ქვეშ დააყენა.

– ომმა სახელმწიფოებრიობა მართლაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოებრიობა ჩამოიშალა. მართალია, ახლა ტერიტორიის უფრო ნაკლები ნაწილის კონტროლი ხორციელდება, მაგრამ სახელმწიფოებრიობა მთლიანად ნამდვილად არ ჩამოშლილა. აქ ერთი პრინციპული საკითხი დგება: შეცდომის დაშვების უფლება ყველას აქვს. მათ შორის მაღალ თანამდებობაზე მყოფ პოლიტიკოსებსაც. მაგრამ ასეთ დროს მას აკისრია პოლიტიკური პასუხისმგებლობა. ცუდი ის არის, რომ ასეთი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი ჩვენს ქვეყანაში, როგორც წესი, მოშლილია. მაგალითის სახით უნდა აღინიშნოს, რომ, როცა ქვეყანა ომს აგებს, მინიმუმ თავდაცვის მინისტრი იცვლება, რადგანაც სულ ცოტა მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი დგება. მაგრამ ასეთი საკითხი ჩვენთან არ დამდგარა. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ჩვენი სახელმწიფოს სისუსტეზე: ეს სისუსტის და არა სიძლიერის ნიშანია!

– პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში, სადაც აგვისტოს მოვლენები შეაჯამა, მიანიშნა, რომ ვერც აგვისტოს ომმა და ვერც მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა სერიოზული საფრთხე ვერ შეუქმნა ქვეყანის ეკონომიკას. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

– მე მოვისმინე პრეზიდენტის გამოსვლა. ბატონმა სააკაშვილმა ისიც კი თქვა ქვეყნის ეკონომიკაზე, რომ ის 5 წლის განმავლობაში გასამმაგდაო. როგორც ეკონომისტი, პირველ რიგში, ამ ფრაზამ აღმაშფოთა. მკითხველს მინდა ვუთხრა: ეკონომიკა მთელი ქვეყნის მასშტაბით საშუალოდ წლიურად 24-25%-ით უნდა იზრდებოდეს, რომ 5 წელიწადში გასამმაგდეს. ეს ელემენტარული არითმეტიკაა. ასეთი მაღალი ზრდის ტემპი, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა და არც ყოფილა, არაფერი მსგავსი საქართველოში არ მომხდარა. აღნიშნული ფრაზა პრეზიდენტმა ალბათ “ღამაზი სიტყვებისთვის” გამოიყენა.

ყოველ შემთხვევაში ყველამ ვიცით, რომ მისი მთავრობის მიერ მართული სტატისტიკიდან 12%-ზე მაღალი ზრდის ტემპი არ დაფიქსირებულა ოფიციალურად, თუმცა ესეც “გაბერილი” ციფრია. როდესაც ეს ფრაზა პრეზიდენტმა თქვა, ამ დროს მას როგორც წესი ოპონენტი არ ჰყავდა. ითქვა და როგორც ყოველთვის “გაუჩინარდა” ეს სიტყვები.

– ბევრი სიცრუის გამო სააკაშვილს ცრუ პრეზიდენტის იმიჯი აქვს. თქვენი აზრით, ეკონომიკაზე მისი გაზვიადებული შეხედულება საზოგადოებას დაავიწყდება?

– როდესაც ზვიად გამსახურდიას ებრძოდნენ და ჩამოადგეს, მაშინ შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა დაეწყო მუშაობა საქართველოს კონსტიტუციაზე. იმ დროს ამ კომისიის ეკონომიკის ქვეკომისიის თავმჯდომარე გახლდით. როდესაც გამსახურდიას წინააღმდეგ იყო ბრძოლა, პოლიტიკოსები მაშინაც იძახდნენ, რომ საქართველოში არ უნდა იყოს პრეზიდენტის ინსტიტუტი, საქართველო უნდა იყოს საპარლამენტო რესპუბლიკაო. მაგრამ როგორც კი დაიწყო ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა, მაშინვე “ყველამ ყველაფერი დაივიწყა” და გაუღერდა, რომ როგორ შეიძლება “გვანალულუს” ყავდეს პრეზიდენტი და საქართველოს არაო. ჩვენში პოლიტიკური გულმაგიწობა დაკავშირებულია იმასთან, იმ მომენტში ვის რა და როგორ აწეობს. ამიტომ პრეზიდენტის გუშინდელი და გუშინწინდელი ნათქვამი შეიძლება ერთეულებს გვახსოვდეს, საზოგადოებაში კი ეს ფრაზები იკარგება. უფრო მეტიც, როდესაც ხალხი არჩევნებზე მიდის, ეს მათ სულაც არ აწუხებთ. მათ აინტერესებთ მძიმე ცხოვრებიდან გამომდინარე ვინ რამდენს მისცემს. ვინც მეტს მისცემს, ხმასაც იმას მისცემენ და არა ვინ უფიქრდება იმას, რომ იმ მომენტში ეს ადამიანი თავის ქვეყანას, მის მომავალს ყიდის. ასევე რასაც დღეს ჩვენი პრეზიდენტი იძახის, ამას ძირითადად მნიშვნელობა აქვს ექსპერტებისთვის და არა ხალხისთვის. ხალხის და ამომრჩევლის პოლიტიკური გემოვნება არ შეცვლილა. ვეჭვობ 20012 წელს ვინმემ გაიხსენოს, რა თქვა საქართველოს პრეზიდენტმა 2008 წლის 22 ნოემბერს, ანუ რევოლუციის 5 წლისთავზე.

**– ზემოთ პასუხისმგებლობა ახსენეთ, რა დასკვნა შეიძლება დადოს დავითაიას კომისიამ და გადანაწილდება თუ არა კონკრეტულ მაღალჩინოსნებზე პასუხისმგებლობა?**

– არაფერს განსაკუთრებულს ეს კომისია არ დადებს, გულახდილად რომ გითხრათ მის მუშაობა ჩემთვის საინტერესო არც კი ყოფილა. თუ ჩვენ ვთანხმდებით იმაზე, რომ საქართველოს პარლამენტში ოპოზიცია არ არსებობს, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ ვართ დადგმული სპექტაკლის მოწმენი. ამ კომისიის მუშაობაში ერთი სახალისო მომენტი შეიტანა ეროსი კიწმარიშვილის გამოსვლამ. დანარჩენი ჩვენ ვართ მოწმენი, თუ როგორ ხდება ძირითადად შეთანხმებულ კითხვებზე შეთანხმებული პასუხის გაცემა. არც ეს კითხვები განსხვავდება იმისაგან რაც მანამდე დასმულა. არც პასუხები განსხვავდება იმისაგან, რაც მანამდე თქმულა.

**– თუ რაიმე მნიშვნელოვანი არ თქმულა ამ კომისიაზე, საერთოდ რატომ შეიქმნა ეს კომისია?**

– ისევ და ისევ დემოკრატიის სათამაშოდ და მის ლამაზად “შესაფუთად”. თვითონ პრეზიდენტიც კი, რომელსაც არ ევალებოდა ამ კომისიაზე მისვლა, მივიდა... საყურადღებოა, რომ პარლამენტი რეგლამენტით ცნობს სხვადასხვა ტიპის კომისიას. არის დროებითი კომისია და არის საგამოძიებო კომისია. პარლამენტს რაიმეს გამოძიება რომ სდომებოდა, შექმნიდა არა დროებით, არამედ საგამოძიებო კომისიას. მაშინ ამ კომისიაზე ნათქვამი თითოეული სიტყვა სულ სხვა დატვირთვას შეიძენდა, და შეიძლება საფუძველი გამხადრიყო შემდგომი, უფრო დეტალური გამოძიების თუ არა, პოლიტიკური პასუხისმგებლობისა მაინც. დროებით კომისიაზე ნათქვამ სიტყვებს კი არავითარი სამართლებრივი დატვირთვა არ აქვს.

**– ბატონო ლადო, რამდენად დამაჯერებელია კიწმარიშვილის ნათქვამი ამერიკის მიერ საომარ მოქმედებებზე დაშვებულ მწვანე შუქთან დაკავშირებით?**

– ბატონ კიწმარიშვილს ახლოს არ ვიცნობ. რა წარმოდგენებიც მაქვს და რაც მასზე მსმენია, ეს მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი შეფასებებია დაწყებული ჯერ კიდევ რუსთავი 2-ში მიღვაწეობიდან. მოდით დავსვათ ასეთი კითხვა, ვინმემ საქართველოში სერიოზულად აღიქვა კიწმარიშვილის რუსეთის

ფედერაციაში ელჩად დანიშნა? ასევე შემძლეა ვთქვა, რომ ბევრ ქვეყანაში ისეთი ელჩი გვყავს, გაუგებარია, რატომ დაინიშნეს. არ ვამბობ, რომ ეროსი კიწმარიშვილი ყველაზე ცუდი ელჩი იყო, არა მგონია, რომ მისი წინამორბედი უკეთესი ყოფილიყო. რეალობას შევხედოთ: არის კი ბატონი ეროსი ის კაცი, რომელმაც მორალური უფლება აქვს სხვას ჭკუა ასწავლოს? ყოველ შემთხვევაში, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქე, მე პირდაპირ, თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ, იმიტომ რომ მორალზე საუბრის უფლება, ყველას არ აქვს. ამიტომ ის რაც პარლამენტში მოხდა იყო იმის დემონსტრირება, რომ “თავისიანი თავისიანს” დაეჯახა.

**– ამ კუთხით რომ ვთქვათ, არავინ იცოდა ვინ იყო გეგა მგალობლიშვილი და დღეს ის ამაყად დააბიჯებს, როგორც პრემიერ-მინისტრი.**

– ამბობენ კარგი ახალგაზრდააო და მზად ვარ გავიზიარო, მაგრამ მგალობლიშვილის კარგი ბიჭობა არაფერ შუაში რომ არ არის მთავრობის ხელმძღვანელობასთან, ესც ხომ ფაქტია.

**– თქვენი აზრით, გეგა მგალობლიშვილი თავს ვერ ართმევს პრემიერის ფუნქცია-მოვალეობას?**

– ვინმეს ჰგონია, რომ მგალობლიშვილია პრემიერ-მინისტრი?

– აბა ვინ არის?

– პრემიერ-მინისტრი ისევ ის არის, ვინც შარშან და შარშანწინ იყო. ის პრემიერი იყო ზურაბ ნორაიდელის დროსაც და გურგენიძის დროსაც.

**– ვის გულისხმობთ, კახა ბენდუქიძეს?**

– რა თქმა უნდა. ეს ხომ ყველამ იცის. თუ გურგენიძე და ნორაიდელი თავიანთი გამოცდილებით, ბოლომდე არცთუ ისე იოლი სამართავები იქნებოდნენ, წარმოგიდგენიათ მგალობლიშვილს, რომელსაც არანაირი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნია, როგორ როგორ შეეწინააღმდეგება მრავალნაცად კანცელარიის უფროსს? რასაც ბატონი კახა წარუდგენს, მგალობლიშვილიც იძულებული იქნება ის გაიმეოროს. მოვიყვან ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს. გამოცხადდა, რომ შეიქმნა კომისია სტატისტიკის რეფორმასთან დაკავშირებით. ეს არის პირველი სერიოზული რამ რეფორმის თვალსაზრისით, რაც უნდა გააკეთოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა. შევხედოთ

რა მოდელი განიხილება: თურმე სტატისტიკა უნდა იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფოსაგან და გამოვიდეს, როგორც დამოუკიდებელი ორგანო. სწორია ეს მოდელი? ეს არის ისევე ლამაზად “შეფუთვა”, ისევე მოტყუილება.

– რატომ არის ეს ტყუილი?

– როგორ შეიძლება, სტატისტიკა იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი. სტატისტიკა ხომ სახელმწიფო ორგანოა. სტატისტიკა სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ვერ იქნება, ის მთავრობისგან უნდა იყოს დამოუკიდებელი და არა სახელმწიფოსაგან. რაც გინდათ ის დაარქვით მას, მისი შემოსავლის წყარო ხომ მაინც ბიუჯეტი იქნება. რადგან ფულის მიმცემი მთავრობაა, ხოლო ფორმალური პატრონი კი სტატისტიკას არ ეყოლება, მთავრობას დარჩება მასზე ზეგავლენა. ეს იგივეა, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელში ხდება. ამიტომ თუ უნდათ სტატისტიკის რეფორმა, ის მთავრობას უნდა გამოეყოს და უნდა გადავიდეს პრეზიდენტის, თუ კი პრეზიდენტს აინტერესებს, რა ხდება მისი ქვეყნის ეკონომიკაში, ან თუნდაც პარლამენტის დაქვემდებარებაში. მაგრამ ამას არ გააკეთებენ, რადგან ეს იქნება გზა სტატისტიკის მთავრობისაგან დამოუკიდებლობისაკენ. როდესაც სტატისტიკის უფროსი ვალდებულია პრეზიდენტის ან პარლამენტის წინაშე, მაშინ მთავრობა მის საქმიანობაში ადვილად ვერ ჩაერევა.

– ანუ არასწორი მიმართულებით ხდწება სტატისტიკის დეპარტამენტის რეფორმა?

– ეს რეფორმა არის ისეთივე ფსევდო, რაღაც საბურველის მოგონება, რაც გაკეთდა საზოგადოებრივ მაუწყებელთან მიმართებაში.

– არც კონტროლის პალატის ამ ფორმით რეფორმირება მოიტანს შედეგს? ხელისუფლება გეგმავს ოპოზიციის წევრის შეყვანას იგივე დავების საბჭოში.

– დიდი ბოდიში, რომელი ოპოზიციის? რომელიც დღეს იმით არის დაკავებული, როგორ გაამართლოს ხელისუფლება? ერთი მწვავე და საქმიანი გამოსვლა მაინც მითხარით რომელიმე ამ ოპოზიციონერის. მათი გამოსვლები

უფრო “ზრდილობის გამოა” კრიტიკული. ასეთი წარმომადგენელი გინდ შიგნით გყოლია, გინდ გარეთ – ესეც ხომ თამაშია.

**– რეალურად მკვდარი ორგანოა კონტროლის პალატა?**

– კონტროლის პალატა საკმაოდ დასუსტებული ორგანოა. ის დასუსტდა მას შემდეგ, რაც დაიწყო სერიოზული დარღვევები სახელმწიფო შეყიდვების კანონის მოქმედებაში. მინდა გავიხსენო ირაკლი ოქრუაშვილის თავდაცვის მინისტრობის პერიოდი. 2005 წლის დეკემბერი, კონტროლის პალატის თანამშრომლები შედიან თავდაცვის სამინისტროში გეგმიური შემოწმებით. თავდაცვის მინისტრის მითითებით კონტროლის პალატის თანამშრომლები იქიდან გამოყარეს. კონტროლის პალატის მაშინდელმა ხელმძღვანელმა თხოვნით მიმართა ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას, რომ გეგმიური შემოწმება მაინც ჩატარებულიყო. ამაზე კონტროლის პალატის ხელმძღვანელმა პასუხად მიიღო, სამინისტროში ახლა რეფორმა მიდის და თავი დავანებოთ მერე შევამოწმოთო. გადის რაღაც პერიოდი, ოქრუაშვილი უპირისპირდება ხელისუფლებას და იძახიან, 140 მლნ არის სახელმწიფო ფული შეჭმულიო. კი მაგრამ, კონტროლის პალატა რატომ არ შეუშვეს 2005 წლის დეკემბერში? ხომ შეიძლება პალატას ამ თანხასთან დაკავშირებით რაღაც დროულად ეთქვა. ან ის, რაც ეთქვა კონტროლია პალატამ ამათუ იმ უწყების შესახებ, რატომ არ მიეცა ამას ბოლომდე რეაგირება.

**– რას გულისხმობთ კახა ლომაიას განათლების მინისტრობის დროს შეჭმულ მილიონებს?**

– ეს იყო როგორც განათლების სამინისტრო, ისე დაქალაქის მერია. არცერთი საქმე არ მიუყვანიათ ბოლომდე. ნამდვილდ არ შემიძლია დანამდვილებით ეთქვა, რომ განათლების სამინისტრომ მილიონები უმისამართოდ გამოიყენა და შეჭამა. ასევე არ შემიძლია იმის მტკიცებაც, რომ ქალაქის მერიაშიც შეიჭამა მილიონები. შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს ეს ხომ უნდა შეესწავლათ და საბოლოო დასკვნა დაედოთ. ამ საქმეების შემდეგ კი კონტროლის პალატის თავმჯდომარედ ისეთი პიროვნება მოიყვანეს, რომელიც სპექტაკლების დადგმით იყო დაკავებული და რომელმაც “ჩინეთის



კედელი” აღმართა კაბინეტთან, რათა თანამშრომლები არათუ გვერდით რომ არ გაკარებოდნენ, არამედ არც კი დაენახა.

– ბევრს აინტერესებს, რატომ არ ხდება პრეზიდენტის ფონდის ხარჯების კონტროლი...

– პრეზიდენტის ფონდის თუ სხვა მსგავსი ფონდების ხარჯებს ძირითადად მონიტორინგს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია უწევს.

– დაბოლოს, ბატონო ლადო, როგორც ამბობენ ამ ქვეყანაში ყველაფერს ვანო მერაბიშვილი აკონტროლებს და ალბათ მისი გავლენის გამოა, რომ ბევრი რამ რჩება გასაიდუმლოებული. ბიზნესის ტერორსაც მისს სახელს უკავშირებენ.

– როცა ერთ პიროვნებაზე გადავდივართ, აქ ცოტა სიფრთხილე გვმართებს და რატომ: მაგალითად, კახა ბენდუქიძე რომ საჭირო არ იყოს, როგორც ჩრდილოვანი პრემიერ-მინისტრი, ვინ გააჩერებდა? თუ პოლიტიკური ნება იქნებოდა მის შეცვლას რა უნდა. პირიქით, საზოგადოებაში ძალიან პოპულარულიც კი იქნებოდა ასეთი ნაბიჯი მაგრამ ის რომ ბატონი კახა არა ერთი წელია, რაც პრემიერის ფუნქციას ასრულებს, ეს მისიკი არა, ეს ჩვენი სახელმწიფოს პრობლემაა. როცა ნებისმიერი თანამდებობის პირზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ესეც პრეზიდენტის არჩევანია.

**შორენა კოწოწაშვილი**